ხელშეკრულება N11
მომსახურების შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

5 ივნისი 2017 წელი **ქ.თბილისი**

ერთის მხრივ შპს „სტარტაპ საქართველოს“ (შემდგომში ”შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა მენაბდის სახით და მეორეს მხრივ შპს „Geovoice” (შემდგომში ”მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ბერაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის „ვერტიკალური პარკირების“ პრეზენტაციის ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (CPV 79952000).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის „ვერტიკალური პარკირების“ პრეზენტაციაზე გახმოვანების მომსახურება.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა - 2017 წლის 6 ივნისი.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი, დადიანის ქ. N32, საქართველოს ელექტოვაგონშემკეთებელი ქარხანა.

4. სახელშეკრულებო ღირებულება

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის“ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხარისხი

6.1. მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.1.2. განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით გაწეული მომსახურების მიღებაზე;

7.1.3. ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების

მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა;

7.4.2. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით;

7.4.3. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

8. ინსპექტირება

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.6. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.